

ლოცვის საშუალო



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთი „საშურის მოამბის“ დამატება
№10, 4 ნომბერი, ორშაბათი, 2024 წელი

ღვთისმშობლის გზავნილი კაცობრიობას!

კაცობრიობის ცნობიერების დაისი აუცილებლად უნდა შეიცვალოს ნათელი მზიანი დღით...

თქვენი ღვთაებრივი ბუნების მზემ უნდა გაანათოს თქვენი გონება, ყველა თქვენი აზრი და გრძობა. ახლა თქვენს სამყაროში ბნელი ძალები და ენერგიები ბოხოქრობენ. და იმ ყოველ ადამიანს, რომელიც ცდილობს სინათლის ენერგიის თქვენს სამყაროში შემოტანას, კიცხვენ და დევნიან კიდევ.

ჩემმა ძემ იესომ საკუთარ თავზე გამოსცადა ადამიანებისგან სიძულვილი. მან კი, თავისი ცხოვრება მიუძღვნა მათ სიყვარულს. ბევრი ადამიანი მიდიოდა იმ სასწაულების სანახავად, რომლებსაც ჩემი ძე იესო ახდენდა. თუმცა, უფრო იზრდებოდა და ძლიერდებოდა მისი მისიის მიმართ წინააღმდეგობა. ადამიანური ლოგიკით რთულია იმის ახსნა, თუ რა მოხდა, როდესაც გააფთრებული ბრბო, რომელთა შორის იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც იესომ განკურნა, მოითხოვდა მაცხოვრის სიკვდილით დასჯას.

იესომ სამყაროში უზარმაზარი მოცულობის სინათლე შემოიტანა, არა მხოლოდ ცოდნის სინათლე, არამედ ღვთაებრივი ენერგიის უზარმაზარი ნაკადი.

თქვენთვის ცნობილია ნიუტონის მესამე კანონი: ყველა მოქმედებას მოსდევს თანაბარი და საპირისპირო რეაქცია. ფიზიკური სამყაროს ეს კანონი სრულად მიესადაგება სამყაროში მიმდინარე სულიერ პროცესებსაც. და თუ ადამიანს აქვს პოტენციალი, შემოიტანოს ღვთაებრივი შუქი ილუზორულ, იგივე ფიზიკურ სამყაროში, მაშინ მას მოუწევს დაპირისპირება იმ ძალებთან, რომლებიც იცავენ ილუზიას.

და ეს კანონი კვლავ მოქმედებს თქვენს სამყაროში!

იესო ქრისტეს მაგალითით ქრისტიანთა მრავალ თაობას ჰქონდა შესაძლებლობა, შეესწავლა ამ კანონის მოქმედება. ქრისტიანობის მრავალი ჭეშმარიტი მიმდევარი, ქრისტეს სწავლების არსის (და არა მისი სიტყვა-სიტყვით ნათქვამის) მიმდევრები კვლავ განიცდიან ზენოლას მონინააღმდეგე ძალთა მხრიდან. ეს დაპირისპირება გარდაუვალია და, როგორც ყველაფერი თქვენს სამყაროში, ამ სამყაროში მოქმედებს მთავარ ძალას შორის დაპირისპირება მყისიერად ვერ შეჩერდება. თუმცა, დროთა განმავლობაში ნაკლებად დამანგრეველ ხასიათს მიიღებს და შორეულ მომავალში, ეს ორი ძალა იმდენად დააბალანსებს თავის გამოვლინებას, რომ მათი ურთიერთდაპირისპირებიდან დაიბადება თანამშრომლობა და ურთიერთქმედება.

ბევრი თქვენგანი უპირისპირდება ერთმანეთს. და ეს ხდება მაშინაც კი, როდესაც თქვენ მიჰყვებით ერთსა და იმავე სულიერ გზას. ეს დაპირისპირება აიხსნება თქვენი სამყაროს არასრულყოფილებით. ამიტომაც, თქვენი მეშვეობით ვლინდება ეს ორი საპირისპირო ძალა, რაც გამოიხატება მტრულ დამოკიდებულებაში, ეჭვიანობასა და სიძულვილში.

ერთი და იგივე ადამიანი დღის განმავლობაში შეიძლება მოექცეს სხვადასხვა ძალის გავლენის ქვეშ. და ეს ყველაფერი თქვენს გულებში სიყვარულის ნაკლებობის გამო ხდება. ხოლო სიყვარულის ნაკლებობა

გამონეულია თქვენი სამყაროს იზოლირებით ღვთიური სამყაროსგან. არ არის ღმერთი – არ არის სიყვარული. ამიტომ, ყველა ღონე უნდა იხმაროთ, რომ თქვენს ცხოვრებაში ღმერთი დააბრუნოთ!..

ყველაფერი, რაც თქვენს გარშემოა – რეკლამა, ურბანული პეიზაჟი, გამვლელების პირქუში სახეები, სატელევიზიო გადაცემები – უღმერთობის გამოა. თქვენი სამყარო არ არის მეგობრულად განწყობილი სამყარო. მუდმივად შიშის, დაძაბულობისა და პირქუშ პირობებში ცხოვრების გამო, ადამიანები გაჟღენთილნი არიან გარესამყაროს ამ მდგომარეობით. ახალგაზრდებიც ადრეულ ასაკში კარგავენ იმ ოპტიმიზმისა და სიხარულის მუხტს, რომელიც ბუნებრივად უნდა იყოს დამახასიათებელი ახალგაზრდისთვის.

ნამდვილ სიხარულს ცვლის სუროგატები: ფილმების, მუსიკის, ნარკოტიკების სუროგატები. ჭეშმარიტ სიყვარულს ცვლის სუროგატი სიყვარული, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სიყვარულის დიად გრძობასთან.

ჩვენს ირგვლივ არსებულ უღვთო სამყაროში ყოფნისას ძალიან ადვილია სულის დაკარგვა. სწორედ იმის გამო, რომ ახლანდელი დრო საშიშია მრავალი ადამიანის სულისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, მე და სხვა ზეციური ოსტატები მოვდივართ თქვენთან, რათა დაგეხმაროთ თქვენს სამყაროში მიმდინარე პროცესების გააზრებაში და შეგახსენოთ, რომ სამყარო ყოველთვის არ ყოფილა ასეთი მწუხარებით სავსე და რომ კაცობრიობას წინ ნათელი მომავალი ელის.

ეს მომავალი ჯერ რამდენიმე ადამიანის გულში აღმოცენდება, მათში, ვისაც აქვს ძლიერი სული და შეუძლია დაუპირისპირდეს გარემომცველ ილუზიას თავისი რწმენითა და ერთგულებით ღმერთისა და ზეციური ძალების მიმართ. შემდეგ, როდესაც ღვთაებრივი ცნობიერების მქონე უფრო მეტი სული იქნება, კაცობრიობა უმეტესწილად დაიწყებს სინათლისკენ შემობრუნებას.

მხოლოდ თანაგრძობის, გულმონყალებისა და სიყვარულის გავლენით ძალუძს ბევრ თქვენგანს, შეისწორონ ნაკეცები თავისი სულის სხეულზე და სიცოცხლის ხალისი დაიბრუნონ. ჩემი შვილი იესო განაგრძობდა იმ ადამიანების სიყვარულს, ვინც მას აწამებდა და ვისაც სურდა მისი სიკვდილი. ამიტომაც, მილიონობით ქრისტიანი მთელ მსოფლიოში კვლავ ეთაყვანება ჩემი შვილის გმირობას.

მე ვხედავ წინასწარ, რომ ბევრი თქვენგანი, ვინც ახლა კითხულობს ჩემს ამ გზავნილს, შეძლებს მომავალში სიყვარულით უპასუხოთ ილუზორული ძალების ყველა ხრიკს და ოინს. და სიკვდილის პირისპირაც თუ აღმოჩნდებიან, შეძლებენ გამოავლინონ გულმონყალება და თანაგრძობა იმ ადამიანების სულების მიმართ, ვინც მათ ცუდად მოექცა, რამეთუ ბევრმა არ უწყის, თუ რას სჩადიან. და რომ უწყოდნენ, არასოდეს მისცემდნენ საკუთარ თავს ბევრი რამის ჩადენის უფლებას.

თქვენ შეგიძლიათ უჩვენოთ გზა ბევრ დაკარგულ სულს.

ილოცეთ კაცობრიობის გასაბრწყინებლად და მიუტევეთ ყველას.

მე ვარ დედა მარიამი!



პოეზია



ლიცინა ცაბაცაძე

ვინ იცის, ეს ლექსიც ბოლოა,
 ან იქნებ სიცოცხლეს ვაჭარბებ,
 სიცივე მომყვება ნელ-ნელა,
 ნელ-ნელა – ტერფიდან მაჯამდე.
 ცოტაც და... ჩამომცლის ღრუბელი,
 ოქტომბრის წვიმასთან დავზავდი,
 მეგონა, მზის სხივებს ვხატავდი
 და, თურმე, შავ წრეებს ვხატავდი.
 ოცნებაც რა მოკლე ყოფილა,
 იმედი? სულ ფუჭი რამეა.
 რაც მერგო, რაც ჩემთვის შემომრჩა, –
 ბნელი და უმთვარო ღამეა.
 ვინ იცის, ხვალ როგორ ვიქნები,
 არ ვიცი, იქნებ და, ვაჭარბებ...
 ვხვდები, რომ მომყვება თანდათან,
 სიცივე – ტერფიდან მაჯამდე...
 და მალე გულს ზემოთ ამოვა,
 მტირალა ღრუბლების დაცლამდე...

მომქონდა მთები, მხრებზე შედგმული
 და ბარბაცისას ვიპყენდი მინას,
 როგორც ნიკორა, უღელშებმული,
 ვითვლიდი დღეებს – ცხოვრების რისხვას.
 გაუნწყობება არ იყო რთული,
 არც დასერილი სხეული ჩემი,
 იყო სიცოცხლე, თვით მთვარეული
 და არაფერი სხვა დანარჩენი...
 ყელგამოჭრილი ღმუროდა ღამე,
 როცა ბეჭებით მთები მომქონდა.
 მეც დროსთან ერთად გარდავისახე,
 გაქრა ის ბავში და ის გოგონა,
 რომელმაც ერთ დროს, ოცნების ფრთები
 გაშალა ისე, როგორც ტოროლა.
 გადაღლილ ხელებს ცრუ იმედები
 რომ დაუტოვა თითო-ოროლა.

გუშინ ხელში ბავშვივით ავიტაცე ოცნება,
 დღეს დაჭრილი მტრედით დედამინას ვანარცხებ.
 ვერ შევძელი უგულომ სიყვარულის მოცემა,
 შენს უღმერთო ტკივილებს ჩემს თვალებში ვანაცრებ.
 გახლეჩილი სულიდან კივის მარტოსულობა,
 დაწყვეტილი ნერვები სანაგვეზე დავყარე.
 დავიბრალებ ამაღამ ისევ უსულგულობას,
 და მხოლოდ შენ კი არა, დედამინაც დავლაღე.
 გზები ისე იყრება, მე ვინ მკითხა, რა მინდა,
 გადაფერფლილ ტკივილებს დაჭრილ გულში ვინახავ,
 შევალ შავ-თეთრ ოთახში დახურული კარიდან,
 სადაც აღარ ცოცხლობენ და შენც ვერ დამინახავ.

ვერ გავახუნე გულში ფერები,
 თითო ტკივილზე ვრგავდი გვირილებს,
 ისევ შორიდან მოგეფერები,
 სანამ ლოდინი გადამივლიდეს.
 გაგიმარტივდეს იქნებ ფიქრები,
 რაც იყო ჩვენში და არ ყოფილა,
 ედემის ბაღად გარდავიქმნები,
 ჯერ სული სხეულს არ გაყოფილა.
 შენ ნუ იტირებ, წვიმა არ მიყვარს,
 ქარს აყოლილი, სადმე შედგები,
 ჩემს გახარებულ უცხო ყვავილნარს
 გვერდს რომ ჩაუვლი, ნუ შეეხები.
 მე შენი წილი სევდაც წავიღე,
 რომ მაგ თვალებზე მზემ სხივი ჰფინოს.
 ჩემი სიცოცხლეც გქონდეს... აიღე,
 ოღონდ ტკივილმა არ აგატიროს.

კარს იქით
 სხვა ხედი მგონია –
 სინათლე,
 სინაზე, სიმშვიდე.
 სათქმელი
 ვერ მოგიზომია,
 თითქოს და...
 სიცოცხლეს გიშლიდნენ.
 დუმული
 ყვირილზე მეტია,
 აწყვეტილ
 გრიგალებს ერევი.
 ეჩვევი
 კარს აქეთ ხეტიალს,
 კარს მიღმა –
 შებოჭილ ხელებით.
 ნისლები
 მიცურავს ზეგნებზე,
 გამჭოლი
 გამხდარა იარა,
 იმედებს
 აგროვებ გრძელ გზებზე,
 ტკივილებს,
 რომ გაგამთლიანა.

ბევრს ხომ არ ვითხოვ, მცირედიც მყოფნის,
 ვემორჩილები ნებას უფლისას.
 დრო დამიდგება ყოფნა-არყოფნის,
 შორს დარჩენილი, გაზაფხულისას...
 წლებს ვკეცავ ასე, ნაოჭებივით,
 დამენყრილ არეს თვალებს ვარიდებ
 და დაცვენილი ხის ფოთლებივით,
 ღიმილს გზა და გზა ჩამოვარიგებ.
 გეძებ და სადღაც ლანდად მიკრთები,
 ცარიელია ირგვლივ სამყარო,
 ჩემს უჰაერო სივრცეს სჭირდები,
 ტანზე ხორკლებად გამომაყარო.
 განვიმდებიან ისევ სევდები
 და მორიგ სათქმელს ჩემთვის ვინახავ.
 დგება დრო, როცა ცრემლით ვსველდები
 და მონატრებას გულში ვიმარხავ.
 სიზმრის კარებთან მომიკაკუნებს
 ფერგადაყრილი ოცნება ჩემი,
 სნეული გული თითქოს განკურნე,
 თუმცა უშენოდ ყოველ დღე ვკვდები.
 ბევრს ხომ არ ვითხოვ?.. მცირედიც მყოფნის,
 მხოლოდ სიმშვიდეს, ნუთუ ბევრია?
 დრო მეც მომივა ყოფნა-არყოფნის,
 აქ მინას არვინ შებერებია.

თითქოს ფრენამდე ცოტა მაკლია,
 ეს ალიონიც დღეებს გადაჰყვა.
 თუ ერთგულება ჩემი ნაკლია,
 ჯანდაბას! იყოს... არ მსურს გადახრა.
 რაღაც ისეთი გარდასახვაა,
 მეუცნაურა სარკმელთან წვიმა.
 უემოციო ცრუ განზრახვაა,
 ღამურა იქცეს მთების არწივად.
 ღრმა თვალებიდან ვიპარავ დღემდე
 შეკონინებულ მზის მცირე სხივებს,
 ჩემს გულში ისევ შემოიხედე,
 სანამ უბრალოდ გადამივინყებ.
 მერე თუ მთებში გამეხიზნები,
 როცა ნისლები რიჟრაჟს აყრიან,
 ფრთების გარეშე სად გაფრინდები,
 ჯანდაბას!.. ესეც ჩემი ნაკლია.

მიმქრალ ლანდებს რა უნდათ?
 რას ელიან, ეძებენ...
 თითქოს მკერდში ქვა უდგათ,
 სინათლეზე ვერ ძლებენ.
 გარდასახულ სახეებს,
 უიმედოდ გაცრეცილს,
 ტანზე სამოსს ახვევენ,
 ძონძს აცმევენ დაძინძილს.
 მიმალულა წყვილიაძმი
 გარიყული სნეული,
 ვით მხეცი გალიაში,
 სიკვდილს ნატრობს სხეული.

პ რ ი ზ ა

ჩიტი



ვათეკი ბაქრაძე

ერთხელ ჩიტი ვიპოვე... კარგად მახსოვს ის დღე, თუმცა, მას შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა...

გაზაფხულის ერთი ჩვეულებრივი დღე იდგა, მონოტონური და არაფრით გამორჩეული. ზამთრის კვალი ჯერ კიდევ ეტყობოდა ამინდს, გარემოს სიმწვანე აკლდა. გაძარცვული ხეები ჭირისუფლებივით დასცქეროდნენ მკვდარ ქუჩებს და ტოტებზე მოცურავე წვიმის წვეთები დატირებისას დაღვრილ ცრემლებს მოგაგონებდათ.

მზე ანათებდა, მაგრამ სითბო ჯერ ვერ მძლავრობდა. ნემომპალეების სუნი იგრძნობოდა, განსაკუთრებით – ორლობებში, სადაც, როგორც წესი, უბნის ჭორბიურო იყრის თავს და მთელ არემარეს უაზრო საუბრით აყრუებს ხოლმე, მაგრამ ამჯერად სიცივის გამო, სახლში იყვნენ მოკალათებული ტელევიზორთან და საინფორმაციო გამოშვების წამყვანებზე უკეთ ქოთქოთებდნენ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე, რომლებიც ხშირ შემთხვევაში საკეთილდღეოდ არ ვითარდება. ზამთრის სეზონთან შედარებით მეტი ადამიანი დადიოდა ქუჩაში. ბუნებრივ სითბოს ეშურებოდნენ და ცდილობდნენ, ზამთრის სიმკაცრე როგორღაც გაექარწყლებინათ. უმეტესად სიჩუმე და მოწყენილობა სუფევდა. ხანდახან მანქანა ჩაიგრიანებდა ცარიელ გზაზე და წამიერად ააფორიაქებდა მოხუც კაცს, სკვერის სკამზე სიგარეტს რომ აბოლებდა და არავინ იცოდა, რაზე ფიქრობდა.

გაუთავებელ წვიმას ჰაერი დაენმინდა, ხალხის გონება კი კვლავ გასანმენდი გახლდათ...

ამ ქალაქისთვის რუტინა ყოველთვის იყო დამახასიათებელი. ზაფხულამდე იშვიათად გაისმოდა ოდნავი ჟრიაშიულიც კი. თუმცა, ეს სულაც არ მიფუჭებდა განწყობას. არ მაშინებდა მკვდარი ქალაქის ყურება ისევე, როგორც მკვდარი ადამიანის. ზოგს ხომ მიცვალებულის დანახვაზე შიში და გაუცხოება აფორიაქებს. არადა, პირიქით უნდა იყოს. განა რითი უნდა შეგაშინოს უსულოდ მწოლიარე სხეულმა? მისთვის ხომ ყველაფერი აზრს მოკლებული და მონოტონურია, იმაზე მეტადაც, ვიდრე ეს ქალაქია, რომელსაც ისევ ადამიანები მიანიჭებენ ხოლმე მნიშვნელობას, როგორც ყოველ დაღამებულ დღეს ანიჭებენ. არც ეს მესმის, როგორ შეიძლება ყოველი დღე მნიშვნელოვანი იყოს? ესეც ადამიანის ხრიკია – ცხოვრების შესაფერადებლად გამოგონილი, რაც მართლაც მნიშვნელოვან სიამოვნებას აუფასურებს. თუ რაიმე ზებუნებრივმა ძალამ ბედ-იღბალი არ დაგინყევლა, ერთ დღეს გადააწყდები რაიმე აღმატებულს, ზუსტად ისე, როგორც მე შევეფეთე გაზაფხულის იმ დღეს, ნემომპალის სუნი რომ ასდიოდა მინას...

სკვერში ნაცნობ ბიჭს შევხვდი. ველოსიპედით დაქროდა წვიმისგან გალუმპულ გზაზე, მოსახვევში სწრაფად შესვლას არ ერიდებოდა. დიდი ხანი იყო გასული, რაც ველოსიპედზე არ ვმჯდარვარ, ამიტომ, ვთხოვე, ცოტა ხნით ჩემთვის დაეთმო. უარი არ უთქვამს...

არც ადრენალინის განწყობა მქონდა და არც არსად მეჩქარებოდა. მივზოზინებდი ნელა, ზანტად და სველ, ლაპლაპა ასფალტზე ბუნდოვნად არეკლილ საკუთარ ანარეკლს თვალს ვაყოლებდი.

არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. ველოსიპედზე ვზივარ, მოსახვევში ნელა შევდივარ, რომ თავი დავიზღვიო ვინმეს დაზიანებისგან. მოხუცი კაცი ისევ სკამზე ზის და ამჯერად

სიგარეტის მაგივრად მზესუმზირით ირთობს თავს. მანქანის ბლუილი აღარ ისმის, მზეც უკვე ჩასვლას აპირებს, უფრო აცივდა და ნემომპალას სუნმაც იმძლავრა. ვართ მხოლოდ მე, ველოსიპედი და მკვდარი ქალაქი, რომელიც ისეთი არაფრისმთქმელია, რომ ამით სიამოვნებასაც მგვრის...

მივგორავ ამ აზრსმოკლებულ მონაკვეთზე და უცებ უაზრობამ აზრი დაკარგა! – ჩიტი ვიპოვე. აი კიდევ ერთი გამოგონება! პატარა მოვლენებს შეუძლია დიდი გადაწონოს... ჩიტი ველოსიპედის წინ იჯდა. გამიკვირდა, რატომ არ გაფრინდა, როცა მივუახლოვდი. ველოსიპედიდან გადმოვედი, კედელს მივაყუდე და მისკენ დავიხარე, რომ ახლოდან მენახა. საბრალოს ცალი ფრთა ჰქონდა დაზიანებული, ოდნავ სისხლიც შეიმჩნეოდა ფრთის ქვეშ. ამიტომ ფრენა არ შეეძლო. ელდა წამში დაეპატრონა ჩემს გულს.

– რა დაგემართა, საბრალოვ? რატომ გაგიმეტა სამყარომ ამ უსამართლობისთვის? ფრთოსანმა დაკარგოს ფრენის უნარი?! – ეს ხომ სასჯელია!

ჩიტი ხელში ავიყვანე და განრიპული დეხებით თითზე შემოვისკუპე. ვეფერებოდი, ველაპარაკებოდი. ის არ მიფრთხოდა. იჯდა მობუზული, უძრავად, ხანდახან თუ გააჟრჟოლებდა სიცივისგან. ველოსიპედი პატრონს დავუბრუნე, ნაპოვნი ჩიტუნა ვაჩვენე და გახარებულმა ვუთხარი, სახლში მიმყავს მეთქი. მან ზერელედ შეავლო თვალი ჩიტს, თავის ველოსიპედს მოახტა, სიჩქარე მაქსიმუმამდე ასწია და გამომემშვიდობა.

ალბათ მთელი ცხოვრება ვერ ვაპატიებდი საკუთარ თავს, ჩიტისთვის ყურადღება რომ არ მიმექცია და ქუჩაში ბედის ანაბარა დამეტოვებინა.

უკვე სახლის გზაზე მივდიოდი და ჩიტუნას გამუდმებით ფრთას ზემოთ ვუნწვდი, კარგად რომ დამენახა, რამდენად ღრმა იყო ჭრილობა. არაფერი საგანგაშო, უბრალო ნაკანრი იყო, რომელსაც მოსაშუშებელი მალამო და დაახლოებით 3 დღიანი მოვლა ჭირდებოდა.

შინ მისულმა დედას ვაჩვენე პატარა ფრთოსანი, მანაც გულთან მიიტანა მისი გასაჭირი. მე და დედამ გადავწყვიტეთ ერთობლივი ძალებით ჩიტისთვის ძველი დიდების დაბრუნება...

ფრინველს დროებითი საცხოვრისი ჭირდებოდა, პატარა სახლი, სადაც მოუნწვდა ეგზისტენციალური კრიზისი დაეძლია. მუყაოს ყუთი მოვძებნე. პატარა წყლიან ჯამთან და საკენკთან ერთად, ყუთში იმედი მოვათავსე, იმედი, რომ ის გადარჩებოდა. დედამ რაღაც თეთრი მალამო გამოიტანა – შეხორცებას დააჩქარებდა. ჭრილობას თბილი და გამამხნეველებელი სიტყვებით ვუმუშავებდი, ფაქიზად ვუსმევდი მალამოს. გულს მიკანრავდა თავისუფლებას მოწყვეტილი არსების ყურება.

ჩიტი საკმაოდ ლამაზი აღმოჩნდა. ღია ჭაობისფერი ბუმბული კისრამდე ასდიოდა, გულ-მკერდი კი მოთეთრო-მომწვანოდ კიაფობდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მზის სხივები მოხვედებოდა ზედ. ფაფუკი იყო და ნაზი, ხშირი ბუმბული ნისლს უგავდა. თვალები კი ისეთი პატარა ჰქონდა, ისეთი დანრეტილი, რომ სიბნელეში შეიძლებოდა ვერც კი დაგენახა. დანამდვილებით ვერ გეტყვით, მისი მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლებოდა თუ არა, მაგრამ აშკარა იყო, ჩიტი დანებებას არ აპირებდა. ნატკენ ფრთას ხშირად ვამონწმებდი და გამიხარდა, როცა მეორე დღეს შევამჩნიე, რომ სისხლი აღარ მოსდიოდა. წამახალისა იმ ფაქტმაც, რომ ყუთში ვერ ისვენებდა და გამუდმებით წრიალებდა. მეტი სივრცე როცა მივეცი, აქეთ-იქით ხტუნვა დაიწყო, ჰაეროვნად ამოძრავებდა პატარა დეხებს და ხანდახან აჭიკჭიკებოდა ხოლმე. იერი შეცვლოდა, ციციქნა თვალეში ნაპერწკალი უღვიოდა.

– ცოტაც, ცოტაც დააცადე გაღვივება და მერე, დაე, ამოხეთქოს ვულკანმა, რომელსაც შენს პატარა გულში სძინავს.

დადგა მესამე დღე, გაცილებით უფრო მზიანი, წინა დღეებთან შედარებით. ჩიტისთვის რომ მეტი სტიმული მიმეცა, ეზოში გავიყვანე და ხეზე შემოვსვი. ვიფიქრე, ბუნების ელფერის შეგრძნება, საიდანაც

ოთხ კედელში გადმონაცვლა, შემატებდა ქარიზმას და იმედს. ცოტა ხანს გაიყურსა, თვალები მინაბა, ქარის ტალღამ შეატორტმანა, მაგრამ მაინც გაუმკლავდა. ასე იჯდა კარგა ხანს, მოკუნტული და ძალას იკრებდა, რომ გაფრენილიყო. მაშინ პირველად გავბრაზდი ქარზე. გავბრაზდი, რადგან ძნელი იყო იმის ყურება, თუ როგორ აბორძიკებდა ჩიტს, დახმარების ნაცვლად. მას ხომ მისთვის გასაფრენი ტრაექტორია უნდა მიეცა, მისი ფრთების ქვეშ უნდა დაებერა და ჰაერში აეტაცებინა! მაგრამ ქარი რა შუაში იყო? მას რა ბრალი ჰქონდა? ყველაფერი მაინც ჩიტზე იყო დამოკიდებული.

ბოლოს ფრთები რამდენჯერმე დაიქნია, ასაფრენად შეემზადა, ვულკანი თითქოსდა ნამი ნამზე ამოიფრქვეოდა, მაგრამ აფრთხილდა თუ არა, მაშინვე მინაზე დაეშვა. სასწრაფოდ ხელში ავიტაცე და სახლში შევიყვანე. მისი თვალებიდან ბრძოლის ცეცხლი გამქრალიყო.

აივანზე გამოვედი. ქარი ისე სტვენდა, როგორც ფეხბურთის მატჩის დროს მსაჯი უსტვენს, როცა რომელიმე ფეხბურთელი თამაშის წესს უხეშად არღვევს. თავს ვიმშვიდებდი – რამდენიმე დღეც და, უსათუოდ გაფრინდება, ჭრილობაც თითქმის შეხორცებული აქვს.

– ამ პატარა მარცხსაც გადაიტან. ცოტაც, ცოტაც გაუძელი, ფრთოსანო, – თავის დამშვიდება აზრს მოკლებული სულაც არ იყო და არც ის ნუგეში, რომელსაც ადამიანი საკუთარ თავს უიმედობის დროს აძლევს. ჩიტის გადარჩენა საკმარისად ლოგიკურიც იყო, რადგან მისი ჭრილობა სასიკვდილო არ ყოფილა. თავისუფლებაზე, მის სიმბოლოზე, ფასეულობაზე, შუქ-ჩრდილებზე და იმ სასჯელზე ვფიქრობდი, რომელსაც თავისუფლების სანაცვლოდ იღებ, რასაც თავისუფლებასთან გარიგება დავარქვი.

– აქ მოდი! – შემოფოთებული ხმით დამიძახა დედამ.

ქარი ისევ სტვენდა, ფეხბურთელმა ისევ უხეშად დაარღვია წესები...

– რა დაემართა, დღეს ხომ კარგად იყო? საკენკიც ჭამა, ეს დანამდვილებით ვიცი! შეხედე, იატაკს სკინტლებიც აცხია. ახლა რა მოხდა? – ნუხდა დედაჩემი.

– ეს გარიგებაა, დედა! – სტვენის ხმა ყურს მიხშობდა.

– რა გარიგება? რას ამბობ! არა, მე ამას ვერ ვუყურებ! – დედა ოთახიდან გავიდა.

... შენ ხმებოდი, კანკალებდი, წონასწორობის შენარჩუნება იმაზე მეტად გიჭირდა, ვიდრე მაშინ, როცა ხეზე შემოგსვი, მაშინ, როცა ქარი გიბერავდა. ახლა ოთახში ქარი არ არის, ქარი შენს სულში ბორგავს! ფრთა თითქმის შეგიხორცდა, სისხლი სულიდან გდის... სულის მალამო არ გაქვს და ვერ იშუშებ. გარიგებას აღასრულებ, რომელიც ოდესღაც თავისუფლებასთან დადე. შენთვის თავისუფლების სამუდამო გარანტია არავის მოუცია. ყველაფერი მალე მორჩა. გარიგების თანახმად, ინვალე, იტკინე, ბოლოს ფრთები გრაციოზულად ასნიე ჰაერში, ქარის ტრაექტორია იგრძენი და გაფრინდი... თუმცა, ფანჯრები დახურულია!!!

ახლა მესაფლავის როლი უნდა მოვირგო, პირველად, ცხოვრებაში...

ხელში ავიყვანე. სქელი ბუმბული გაგიცივდა, თვალები მოგიჭუტავს და შენი ვულკანი ჩამქრალა.

თანდათან ყველაფერი იმ დღეს ემსგავსება, როდესაც გიპოვე. მზე სუსტდება, ცა სანვიმრად ემზადება და მონოტონური გრძნობა ისადგურებს. ეზოში ისევ ვიგრძენი ნეშომპალას სუნი, ამჯერად უფრო მძაფრი და შესამჩნევი. ჰოდა, იქ გმარხავ, ნეშომპალები გიპატრონებენ. მე კი ყოველთვის, როცა მის მძაფრ სუნს ვიგრძნობ, გამახსენდება.


ქარი ისევ უსტვენს მსაჯივით, ქარი სამყაროს უსტვენს უხეშად თამაშისთვის...

ერთხელ ჩიტი ვიპოვე...

ამბობენ, ჩიტი თავისუფლების სიმბოლოაო, მე კი მას თავისუფლების დაკარგვის სიმბოლოს ვარქმევ!



შეხვედრა პოეზიას



ვიდრემდის ქარები მლოკავენ ..

ვიდრემდის ქარები მლოკავენ,
ცას ღრუბლის ჩრდილებად ველვრები...
გულო, შენ მჭირდები მბორგავი,
გულო, შენ ტყუილად მეღლები.
გულო, რა ნისლებში დაცურავ,
ცრემლები რა შენი საქმეა,
სიკვდილი შენ გიდგას მსახურად,
სად ეძებ?! – შენს ზურგთან, აქვეა...
გულო, სხვას ვის უნდა შევჩვილო,
ვიფრინოთ, ვიდრემდის ფრთებია,
გულო, შენ მჭირდები, შეშლილი,
სიკვდილით ლაჩარნი ჰკრთებიან,
გულო, შენ მჭირდები მბორგავი,
ვიკმაროთ, რაც დამიკვნესია.
ნუ ვზოგავთ, როცა არ გვზოგავენ –
დათმობა დიაცთა წესია!
ვემზადოთ მსოფლიო ომისთვის,
კარგია, იფხიზლებ, კანკალებ,
ბორკილი მზადდება მონისთვის –
შენ დაბადებამდე გასწავლეს.
ვიდრემდის ქარები მლოკავენ,
ცას ღრუბლის ჩრდილებად ველვრები,
გულო, შენ მჭირდები მბორგავი,
გულო, რა ტყუილად მეღლები.